იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მ., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 36
წელიწადი მეორე
— 1913 —
ხუთშაბათი, 14 თებერვ.

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, მ. ი. ჭილაძის სახლში, (შიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპიროზი „როსკოშ“ ამხ. „კომეტა“
25 ც.—ორ შაურათ. 15 ც.—6 კ.
ქ. ტფილისი.

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913

იმერეთი

წელიწადი მეორე 1913

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

ცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

ზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“,
Василію М. Челидзе.
ნაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

ულ საზანოში მცხოვრები რევაზ ნიკოლოზის ძე, მეუღლე მისი ტერინე, შვილი პიმენი, ელენე არჩილის ასული სვანიძეები და ირაკ ი დავითის ძე ვაჭარაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა ა ნაცნობთ პირველნი საყვარელი შვილის, მეორე ძმის, მესამე მეუღლის და მეოთხე ძვირფას ამხანაგის ქ. პეროვსკის მოვაჭრის

თევდორე რევაზის ძე სვანიძის

გარდაცვალებას.

რივი მინადორა პავლე ძნელაძის ასული ტურაბელიძისა შვილები მალ- ა, მარო, გიორგი, ნინა და პავლე, დედა მარიამი და ძმები ილიკო და სო აუწყებენ ნათესავთა და პატივისმცემელთ, რომ შაბათს 16 თებერ- ლს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის უსაყვარ- ესი მეუღლისა, მეორენის ძვირფასი მამის, მესამეს დაუვიწყარი შვილის და უკანასკნელთა ძმისა.

სერაფიონ გიორგის ძე ტურაბელიძის

ლის მოსახსენებლათ. პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე თავარ-ანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე

ქართული თეატრი.

ხუთშაბათს, 14 თებერვალს

რის კასირის **ეკ. ერისთავის** საბენეფისოთ

წარმოდგენილი იქნება: ცნობილი პიესა დე-კურსალისა

ორი ჯიბგირი

მ. და 7 სურათად. თარგ. ვ. აბაშიძის მიერ

მსახიობნი:
ქქ. ამირეჯიბის, მ. მდივნის, მ. ქილარჯიშვილის, ო. ლოლობერიძის, ა. ჩირგაძე, ნ. ჩხეიძის, ა. ჩხეიძის ასულნი;
ბბ.: ვ. არაბიძე, გ. არადელი-იშხნელი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, კ. მაჭარაშვილი, ა. მგალობლიშვილი, ა. სანდალიძე, მ. ქორელი, შ. შარაშიძე, შ. ხონელი, ჭანტურიშვილი, ჭელიძე.

რეჟისორი მ. ქორელი. დასაწყისი სად 8 საათზე
ილების ფასი საბენეფისოა. თეატრის ადმინისტრატორი გ. ურუშაძე.

ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები
ვ. გ. გიგინეიშვილისა.

ან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.
თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (ტფილისის ქუჩა).



[illegible]
მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა
და
მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. და ბათუმის მაზრისა ამ მშვენიერ ხანგძლივ ფარნებისა

ივა ი. ნ.

უფრთხილდით მიმსგავსებას
მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი ტელეფონი № 18.

გამოცდილი **მასწავლებლები** ამზადებენ ბავშვებს ხელმისაწვდომ ფასათ და ბეჯითად. შეუძლიათ მოამზადონ ყველა საშვალო სასწავლებლის დაბალ კლასისთვის, აგრეთვე სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლის ყველა კლასისთვის. გაკვეთილებს უსწორებენ სწავლაში სუსტებს და ჩამორჩენილებს ახალი მეთოდით. საცდელი გაკვეთილები უფასოთ.
მისამართი „იმერეთის“ რედაქციაში.

ექიმი ვ. ი. ფშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი. იღებს შინაგან და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იასულიძანის სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მ. ბალანჩივაძისა
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაზავებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.
გენერლის ქუჩა ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

დღიური

— ოსმალეთში ახალგაზდა ოსმალების წინააღმდეგ აჯანყება მზადდება.

— ხონთქართან გარდა ახალგაზდა ოსმალებისა ყველა პარტიის წარმომადგენლები მივიდნენ და სთხოვეს ხონთქრობას—თავი დაანებეო.

— უკანასკნელ შეტაკების დროს ანატოლიის დივიზიის ჯარის კაცთა 75 პროცენტი მოუკლეს.

— „ნოვოე ვრემიაში“ რუმინიელების წინააღმდეგ მოთავსებულმა წერილმა რუმინიელთა შორის დიდი აშფოთება გამოიწვია. ბუქარესტში ურიცხვი ხალხი შეიკრიბა რუსეთის საელჩოს წინ, რუსეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მოსახდენათ, მაგრამ ხალხი პოლიციელებმა გაფანტა.

— რუსეთის სურვილია—ალბანეთი და შავმთიელეთი გააერთიანოს და მეფეთ შავმთიელეთის ახლანდელი მეფე ნიკოლოზი იყოს.

— [illegible] მთავრობის [illegible]

— [illegible] გალიპოლს [illegible] იქ ის ჯარს წინამძღოლობას გაუწევს.

— სტამბოლიდან ცნობაა—დარდანელსა და გალიპოლში შიმშილობაა.

— რუმინიას 300000 შეიარაღებული ჯარის კაცი ყავს. 1914 წელს მოსაწვევ ჯარის კაცთ წელს მოიწვევსო.

— ინგლისმა ტიბეტის შესახებ ჩინეთს რამდენიმე მოთხოვნილება წარუდგინა.

— გუბერნატორების თათბირმა პოლიციის რეფორმის განხილვა დაასრულა.

— კაპიტანი სკოდის ქვრივს ლედის ხარისხი, უბოძეს.

— ჯავერ-პაშა, რომელიც ალბანეთს წავიდა, რათა იქ სერბიის წინააღმდეგ ამბოხება მოეხდინა, ალბანელებმა მოკლეს.

— ადრიანოპოლში სურსათი გამოილია და ჯარი ბძანებას აღარ ემორჩილებაო.

— პორტის დამცველი ჯარი გააძლიერეს.

— ესკიშეხრში ოსმალეთის ჯარი, რომელიც ბძოლის ველზე გაგზავნეს, აჯანყდა და გამოაცხადა—ახალ მთავრობას არ დავემორჩილებითო.

„სპილოების‘ ბანაკში.

არ იფიქროთ მკითხველო, ვითომ ინდოეთის სპილოებზე მინდოდეს ამ ჟამათ თქვენთან საუბარი! ინდოეთი ჩვენზე ძლიერ შორსაა და იქამდი ხელი ძნელათ მიგვიწვდება! მაგრამ, მადლობა ღმერთს, სპილოების გასაცნობათ იქ მოგზაურობა ამიერიდან აღარ გვჭირდება: ამ „სქელ-კანიანთა“ ჯგუფი აგერ ახლორელე აღმოაჩინა ჩვენში სწორუპოვარმა „ზოოლოგმა“ (უკაცრავათ, „პუბლიცისტმა“) ბ. მ—ნმა. ასეთი აღმოჩენა მან აუწყა საზოგადოებას „მერცხლის“ 34 №-ში.—სწორეთ არ მეგონა, თუ „სოციალური დემოკრატიის წარმომადგენელი“ (ასე რიხიანათ უწოდებს თავის თავს ბ. მ—ნი!) იმავე დროს ცნობილი და ყნოსვა მახვილი „ზოოლოგიც“ იყო! „ჰეი-ჰეიო, ფიქირ-ბეიო!“—ბძანა აკაკიმ,

და ჩვენც ეგევე უნდა გავიმეოროთ, რადგან სწორეთ დღეს შევიტყვეთ, რომ ასეთი „ტალანტი“, ასეთი „ძალთა ძალი“ შეუმჩნევლათ იკარგებოდა ჩვენში!

სხვისი რა მოგახსენოთ, ჩემის მხრით კი დიდათ ვმადლობ ბ. მ—ნს ასეთი აღმოჩენისათვის! და რომ მისი აღმოჩენა ჭეშმარიტებასთან ახლოა, თუ ნებას მიბოძებს მათი „ძალთა-ძალოვნება“, მცირედ მაინც განვმარტავ.

სპილო, როგორც სქელ-კანიანთა წარმომადგენელი, როგორც ამტკიცებს ბ. ბრემი (და მასთან ბ. მ—ნი) თურმე არც უგუნური ცხოველია, მაგრამ ეგაა, რომ იმის სქელ კანსა და შუბლის ძვალში ეგრე ადვილათ ვერავითარი აზროვნება ვერ შეატანს; მაგრამ თუ კი ერთხელვე შეატანა შიგ, თუნდ უკუღმართი აზრიც იყოს, სიკვდილამდი მისი მონა-მორჩილი ხდება!.. საკუთარი აზროვნებას თურმე ძლიერ მოკლებულია ეს უზარ-მაზარი ცხოველი, მაგრამ სხვის ნაკარნახევს კი რიგიანათ ითვისებს! და აკი ამიტომაც პაწაწკუნა ადამიანი ასე ამაიმუნებს მას სადაც და როგორც მოესურვება!..

ერთი საშინელი უმადურობაცა სჭირს თურმე ამ ოთხფეხს: მოშივდება თუ არა, გლეხის ნაშრომ-ნაოფლარს ეწვევა და კარგათ რომ გაძღება, თავისი ტლანქი ფეხებით მოსტკეპნის და მოაოხრებს იქაურობას!..

მარა ინდოეთის სპილოებს თქვენი ჭირი წაუღიათ, ოღონდ ჩვენში არ გაჩენილიყო ეს „სქელ-კანიანთა“ ჯგუფი! კარგი და ჩინებული მზგავსებაცაა იქაურ და აქაურ ახლათ აღმოჩენილ „სქელ-კანიანთა“ შორის!

ვინ მოთვლის, რა შრომა და ენერგიაა დახარჯული ჩვენებურ დასელებთან კამათში ხშირათ სულ უბრალო და ნათელი საკითხების გამო!.. მათი გადაუკუღმართებული აზროვნება ვერ მოითმენს, რომ ყველასათვის გასაგები რამ, ნათელი და ცხადი—მეტაფიზიკურ ბურუსში არ გახვიონ, არ დააბნელონ!.. აიღეთ, თუნდა ყბათ აღებული ავტონომია! რა არ უმტკიცეს, რა მაგალითები არ მოუყვანეს, რომ ავტონომიური მართვა-გამგეობა გაცილებით უფრო დემოკრატიულია, რადგანაც უფრო ახლო დგას ხალხთან, მასასთან, ვიდრე ცენტრალისტურიო, მაგრამ არ იქნა და ვერ შეატანა მათი შუბლის სქელ კანში ამ ნათელმა აზრმა! პირიქით, ყოველივე საშვალება იხმარეს, რომ ეს აზრი დაეხშოთ, დაებნელებიათ და სათავეშივე მოესპოთ!.. ხალხს უქადაგებდენ, ავტონომია ბატონ-ყმობას ნიშნავს და თავადების მოგონილიაო!.. მაგრამ სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს და დღეს, როგორც ყველა ხედავს, ავტონომიის მომხრეთა რიცხვი თანდათან მატულობს ჩვენს ხალხში!.

აიღეთ თუნდა დროებით ვალდებულობის მოსპობა და კამათი იმ ფულის შესახებ, რომელსაც თ.-აზნ. მიიღებს ხაზინიდან — აქ აზრი გამოითქვა სამელიორაციო ბანკის დაარსების შესახებ. ეს მით უფრო ხელსაყრელათ იცვნეს, რომ სწორეთ გლეხობას შეეძლება ისარგებლოს ამ ბანკით თავის მეურნეობის გასაუმჯობესებლათაო.—როგორ გაბედეთ ასეთი აზრის გამოთქმა თქვე ავაზაკებოო!—შესჭყივლა „მერცხლის“ პუბლიცისტებმა. ყოველ შემთხვევაში აქ საავაზაკო არა იყო რა! სხვა გვარი აზრის გამოთქმა არავის აუკრძალავს და ვერც ვინმე აკრძალავდა! მაშ რათ დასჭირდათ ამ მაგარი სიტყვის ჩართვა ამ „სქელ-კანიანებს“?—სწორეთ იმიტომ, რომ ისინი ,,სხვანაირათ“ აზროვნობენ, სხვა „ნიადაგზე“, დგანან! ცხოვრება ხშირათ ისეთ საკითხებსა სვამს, რომელთა შესახებ ორი აზრის წარმოთქმა ლოღიკის წინააღმდეგია; მაგრამ ლოღიკას ვინ დეგიდევს? ჩვენმა ,,სპილოებმა“ ოღონდ სხვანაირი აზრი გამოსთქვან და დე, თუნდა უკუღმართიც იყოს ეს აზრი, ამას ,,პარტიისთვის“ მნიშვნელობა არა აქვს!..

ერთხელ აკაკიმ იხუმრა: ,,ჩვენებურ დასელს რომ კითხო, ღორს გაფრენა შეუძლია, თუ არაო,—პირდაპირ როდი გიპასუხებსთ?—ჯერ ღრმათ ჩაფიქრდება, თავს ჩაქინდრავს (როგორც სქელ-კანიანთა წესია!) და მერე მძიმეთ წარმოსთქვამს: ,,მართალია, ამ საკითხის შესახებ არც მარქსი და არც ენგელსი არას ამბობს, მაგრამ ღორის აგებულებას რომ დავაკვირდეთ, უნდა დავასკვნათ, რომ მას ფრინვა არ უნდა შეეძლოსო“!

ფრიად დამახასიათებელია ჩვენებური ,,სქელ-კანიანების“ აზროვნებისა, რომ იმავე დროს სამწუხაროც არ იყოს.

და რომ ჩვენებური დასელები სხვების მაჩანჩალა არიან და საკუთარი პროგრამას მოკლებული, ეს უკვე დიდი ხანია დამტკიცებულია. მაგრამ რადგანაც სხვების სიღ აზრს ჩვენებურ დასელებში გასავალი არა აქვს, ამიტომ ბარემ აქვე მოვიყვან ბ. პლეხანოვის სიტყვებს (იხ. ჩ. წერილი „იმერეთი“ № 59 წარსული წლ.): „კავკასიელმა ამხანაგებმა პროლეტარიატის გეგემონია უარყვეს და ბუნდის გეგემონიას კი იმ ზომად დაემორჩილენ, რომ ეროვნულ საკითხსაც მათი სათვალებით უყურებენო“ და სხვ. („за партію“ № 3).

ბ. ბ. ჩხეიძის და ჩხენკელის მიერ გამართული დავა სათათბიროში იმერულ ჟენზე მოღვაწეობაა გელოვანის დასამცირებლათ!.. გარწმუნებთ, ბ. ბ., რომ არც ბ. ჩხეიძისა და არც ჩხენკელის, არც ბ. გელოვანის პიროვნება მე არ მაინტერესებს; მაგრამ როცა ბ. ჩხეიძემ და ჩხენკელმა სახალხო შკოლების გამო შეკითხვაზე გელოვანი უტიფრულათ „ჩააჩუმეს“, აქ კი ყოვლად შეუძლებელია —პარტიული ქინიანობა და თავხედობა არ დაინახოს კაცმა! მაგრამ „მერცხლის“ „ყვავი“ რის ყვავია, თუ რომ მრუდზე და მართალზე ერთნაირათ არ დაიჩხავლა?!. ამ სწორუპოვარმა „ყვავმა“ არც აცივა, არც აცხელა და ისინი, ვისაც იგი ვექილათ დასდგომია, „სქელ-კანიანთა“ წარმომადგენლებათ გამოაცხადა!..

დასელთა ლიტერატურასა და აზროვნებაში საქართველო არ არსებობს; ჩვენ არც წარსული გვქონია, არც აწმყო გვაქვს და ამ პირობებში, რასაკვირველია, მომავალზე ოცნებაც კი არ შეიძლება (გაიხსენეთ თუნდა ბ. ყვირილელის წერილები!)!.. „სამშობლო“, „მამულიშვილი“,—ეს სასაცილო, საცილოთ ცნებებია!.. აქ სამწუხარო ის როდია, რომ მამულიშვილობას დასელები დასცინიან, სამწუხაროა, რომ მამულიშვილს ასე ცოტასა ვხედავთ ჩვენში!

რასაკვირველია, მ—ნი, როგორც „სოციალური დემოკრატიის წარმომადგენელი“ გაწყრება და შეგვრისხავს: „მამულიშვილობა მე ჩემებურათ მესმის და, ავაზაკო, როგორ ვერა მხედავ, რომ აქა ვარო!.. ვინ იცის, იქნებ მ—ნიც ერთი იმ გვართაგანია, რომელნიც გლეხის ყანაში გაძღებიან და შემდეგ ფეხით მოსტკეპნიან!.. და ხომ მოგეხსენებათ:

„ესრეთსი კაცი ბაზრისა
ძაღლსა გავს შუკად მავალსა:
შენს არეს ის ურჩევნია,
სად ძვალსა პოებს მრავალსა“!..

ეს იქნება ასეა და სწორეთ იმიტომ მიკვირს მ—ნის უტიფრობა, რომ „სოციალური დემოკრატიის წარმომადგენელი“ მოაქვს თავი!..

„მუმლო, ფასკუნჯის ალაგი
საფრენათ როგორ გწადია“?..

დონ.

დ ე დ ა.

(სურათი)

უკვე ღამეა. თანდათან ყუჩდება ქალაქის მაჯის ცემა... ილევა მისი შუა გული. ყველა შინ მიეშურება, რომ ხვალ კვლავ განაგრძოს ლუკმისთვის ფუსფუსი... აგერ მუშა, ბეჭზე კურტან გადაგდებული, დინჯათ მიაბიჯებს და თავჩაღუნული ითვლის მთელი დღის ოფლით ნაშოვნ გროშებს, ეგერ მდიდრულათ ჩაცმული ცოლ-ქმარი ხელი-ხელს გაყრილნი მხიარულათ მიხმაურობენ, ეგერ კიდევ ქალი კეკლუცათ მიარხევს ტანს და თან მისდევენ თაყვანის მცემელნი, რომელთაც ხელში უჭირავთ ქალის ნავაჭრი,—ერთმანეთს ეჯიბრებიან მოსწრებული სიტყვების თქმაში, თავს აწონებენ ლამაზს...

მოღუშულმა ცამ იჭექა და რამდენიმე წამს შემდეგ ციდან გადმოშობილმა თქეშმა დააცილა ერთმანეთს ბაღში თავმოყრილი დაგვიანებული მოარშიყენიც... დაცარიელდა ქალაქის ქუჩები და თუ კიდევ ვინმე დარჩენილა, გადახურულს ეფარება და შინისაკენ მიეშურება... თანდათან მატულობს წვიმის ჟუთქი... საბრალოა, ვისაც ამისთანა დროს სახლი კარგი გადახურული არ აქვს, თვარა მდიდრებს რა უჭირს იკითხოს საცოდავმა ღარიბ-ღატაკმა, რომ მისი ხავს მოკიდებული ყავრის სახურავი წყალს ვერ დაიჭერს. ვერ დაიკავა წვიმა ქვრივის ქოხის სახურავმაც... დაღრენილ ყავარში წყალი წკურწკურით ჩაეშვა.

ხის ტახტზე გულაღმა იწვა მწვირიან ქვეშაგებში გახვეული ქალი. მისი ძალზე გაჭაღარავებული თმა უფრო თეთრი იყო, ვიდრე ის ბალიში, რომელზედაც თავი ედვა. კუთხეებში მიხოჯილ ძველ ხაბაკს კედელზე ჩამოკიდებული პატარა ლამპის სინათლეზე ძლივს გაარჩევდა ადამიანი...

ავათმყოფი სუსტათ კვნესოდა. იქვე პატარა ზანდუკზე ჩამომჯდარი ღარიბულათ, მაგრამ კოხტათ ჩაცმული ახალგაზრდა ლამაზი ქალი წიგნს ჩასჩერებოდა და დრო გამოშვებით მწოლიარეს გადახედავდა ხოლმე.

კაპ, კაპ, კაპ... დაეცა რამდენიმე ადგილას წვიმის წვეთი.

— დედა, შვილო... შენ აქ ხარ კიდევ?

ოდნავ გასაგონათ წარმოსთქვა ავათმყოფმა.

— დიახ, აქ გახლავართ, ბატონო... რა გნებავდათ?

მარდათ წამოხტა ქალი, წიგნი მაგიდაზე დასდვა და ლოგინთან მიირბინა.

— ეჰ... შევაწუხე...

— ო, რას ბძანებთ, ბატონო, რა შეწუხებაა!..

— ე... ნახავ რამეს...

სთქვა ჩურჩულით ავათმყოფმა და თვალით ანიშნა: „შეუდგი წვიმის წვეთებს რამეო“.

ქალი საჩქაროთ მიტრიალდა, ერთი კუთხიდან ქოთნები გამოიღო და წვიმას შეუდგა. ცოტა ხანს შემდეგ წვეთები ერთმანეთს წაება და რამდენიმე ადგილას ჭერიდან წვრილ ნაკადათ ჩამოეშვა. ქალი ისევ მიტრიალდა ავათმყოფთან, საჩქაროთ შუბლზე დაფარებული სოველი ტილო გამოუცვალა და მორიდებულათ დაეკითხა:

— წამალს ხომ არ მიირთმევთ, ბატონო, ჯერ?

— ა,—უპასუხა ჩუმათ ავათმყოფმა,—არ მინდა... რათ მინდა... ვიცი აღარ მიშველის.. შუას დაბლა ცივი ვარ.. ვაი თუ ჩემი გოგი...

— ო, რას ბძანებთ, ბატონო,—გააწყვეტია სიტყვა ქალმა,—სასიკვდილო რა გიჭირსთ. გული გაიმაგრეთ, ხვალ კიდევ მოვიყვან ექიმს. ..

— გიშველა, დედა, ღმერთმა... მარა.. ტყვილი იმედია... ოჰჰ... თავის ტკივილი ცალკე... მკლავს...

— არაფერია ბატონო, არაფერია,—ანუგეშებდა ქალი,—დედა ამას წინათ უფრო ავათ იყო, მარა...

— ჰმ,—მწარეთ გაეღიმა ავათმყოფს,—ვეჭვობ...

ამ დროს ვიღაც აივანზე შემოვიდა და ფეხები დაიბერტყა, ალბათ ტალახისაგან. ქალმა საჩქაროთ კარი გამოაღო.

— პა, პა, პა, პა, რა წვიმაა, ნამდვილი შემოდგომისა... მაისს არ დაეჯერება...

ბურდღუნით შემოიკუზა ოთახში ანაფორა ამოკუდნული ბებერი ღვდელი და ქორგა დაკეცა.

— საღამო მშვიდობის... ეს... ელისაბედი წევს?

— დიახ, ავათ გახლავსთ.

უპასუხა ღვდელს ქალმა.

— მმ...

სთქვა ღვდელმა და ქორგა კედელზე მიაყუდა.

ქალმა სკამი მიართვა.

— დაბძანდით.

— არა. დასაჯდომათ აღარ მცალია გვიანაა, მარა... მმმ... ეს კი არ არის კარგა. რამდენი ხანია რომ წევხარ?

დაეკითხა ღვდელი მწოლიარეს.

— კვირა...

წამოიკნავლა სუსტათ ავათმყოფმა.

— კვირი... მმმ... რას იტკენ?

— სიცხე აქვს ბატონო, თავსაც იტკენს...

ელისაბედის მაგივრათ მიუგო ქალმა.

— ექიმმა რაიო, თუ მოიყვანეთ?

— წამალი გამოუწერა და... ქე მიირთმევს.

— მმმ... არაფერია.

სთქვა ღვდელმა დინჯათ და გაბუწულ წვერს თითებით ვარცხნა დაუწყო ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ქალი ისევ ზანდუკზე ჩამოჯდა. ავათმყოფი ჭერს დაჟინებით მიჩერებოდა. მან კარგათ იცოდა. რაზედაც იყო მოსული ღვდელი და ელოდა ყოველ წამს იმისგან ლაპარაკის დაწყებას იმ საგნის თაობაზე... პირზე მოუთმენლობა ეტყობოდა...

— იმაზე შემოვიარე,—დაიწყო ღვდელმა,—ელისაბედ, ი გროშებზე... პრაცენტს მაინც მომცემთქვა ვითამ, რადგან თავნს...

ელისაბედს შუბლი მწუხარეთ დაუნაოჭდა...

— ეს ორი სამი კვირაა დავდივარ და არც ერთჯერ შინ არ დამხვდი...

— მამაო ლუკა... თუ ღმერთი გწამს... მადროვე...

ვედრებით ამოიკნავლა ავათმყოფმა.

— ე, ახირებულია, ელისაბედ, თუ ჩემი ჩემ დროზე ვეღარ ევიღე .. არ შეიძლება... შე დალოცვილო, სანამ აქანა შკოლა არ დაამთავრებიე და მერე რუსეთში არ გოუშვი არ ქენი და... შენისთანები კი არა და იცი, რა მდიდრები ვერ უშობენ რუსეთში შვილებს? საადა სარუსეთო ფული? ვისა აქვს? აა? მითხარი ერთი! მეც ქე მყავდა შვილიშვილი სემინარიაში, მარა გამევიყვანე და ქეა ახლა ,,ჩინონიკი“... კაი რვა თუმანი აქვს თვეში... შე დალოცვილო, აბა რავა გგონია. ახლა, რავქნა, მეცოდვა ვარ... არა, მაინც, ახლა ყველგან ვიღებ სადაც კი მაქვს გავალებული, ხომ იცი, მოხუცებული ვარ, ადამიანი წამის არის, ჩემი ფული ჩემთვის მინდა... რავქნა... იმ თვეში თუ თავნიც ვეღარ მიშოვნე ნულა დამმდურები, მიწას...

— ეჰჰ... მაგ გინდოდა და ესაა... მამაო ლუკა, მაცალე... შვილს ველი...

კვნესით და ნაწყვეტ-ნაწყვეტათ წარმოსთქვა ელისაბედმა და იმის მიმქნარ უპეებში მკრთალ სინათლეზე სისოვლე აციმციმდა.

— რანაირათ ლაპარაკობ, ქალო რანაირათ,—დაიწყო. გულმოსულათ ღვდელმა,—რა მინდაო. რას ამბობ, აბა ჩემსას არ მაძლევ? შენი შვილი... სანამ შენი შვილი ჩამოვიდოდეს და ადგილს იშოვიდეს სადმე, მანამდი ეგება—მე სულიც გამძვრეს არა, ჩემო ელისაბედ, ნუ დამემდურები და.. და ქეც რომ დამემდურო, რა ვქნა... ეს თავიდან უნდა გცოდნოდა... ბურდღუნით მობრუნდა ღვდელი და ქორგა ხელში აიღო.

— უარით მისტუმრებ მაშ, აა?

— მამაო ლუკა... მაცალე...

— ე, არა, ყველა ღლეტაზე ირჯება...

რადგან ასთეა, სასამართლო არის და... რო აღარაფერი სათამაშო ბავში ვარ, თ ღმერთი გწამს, რა...

წაიბურდღუნა მამა ლუკამ და კარებ ში გაიტუზა გულმოსული. ქალმა კა მიხურა.

— მმ...

ამოიგმინა ავათმყოფმა.

განუწყვეტელმა შრომამ დასცა ის დ არამც თუ ადგომის, ლაპარაკის ილაჯიც კი მოუსპო, ნამეტურ მას შემდეგ, რა მისი ვაჟი რუსეთს წავიდა სწავლის გასაგ ძელებლათ, მან შრომა გაარკეცა... ა ქონდა მოსვენება არც დღე და არც ღა მე. დღისით მდიდრების ოჯახებში დღ ოდა და მრეცხაობდა, ღამით კი შინ მო ქონდა სამუშაო და შუაღამემდი მისი დ საძინებლათ თავის მიდება არ შეიძლ ბოდა...

მისი ქმარი დურგალი იყო.

ჯერ კიდევ ორივე ახალგაზრდები იყვ როცა სოფელში რაც რამ ებადათ, გა დეს, ქალაქის განაპირას პატარა ნაქ მიწა შეიძინეს და ზედ ქოხიც წამოდგ იმათი სიტყვით, ეს იმიტომ ქნეს „რო ქალაქში უფრო საშვალებაა. . შვილე იქ როცა ვიქნებით დაბინავებული, უფრ ადვილათ გამოვზრდითო“, რამდენიმე წე ლი გაუჭირვებლათ ცხოვრობდენ, მაგრა ერთ დღეს თავზე მეხი დაეცა საბრალ ელისაბედს... საღამოს შინ მიუტანეს ქმრი ცხედარი... სამუშაოდან გადმოვარდნი ლიყო და ძირს დაცემამდი სული განე ტოვებია.

დარჩა ამ ქვეყნათ ღვთის ანაბარათ სა ცოდავი ქვრივი თავისი ერთად ერთი ვა ჟით. ქმრის სიკვდილს შემდეგ დარჩა მხო ლოდ სახლ-კარი და ერთიც ძროხა, ფუ ლი კი საცოდავს ერთი გროშიც არ დ ჩენია. მიუხედავათ ასეთი უნუგეშო მდგო მარეობისა, ქვრივი ელისაბედი სასოწარ კვეთილობას არ მისცემია. · გადადგა თუ არა ბავში მერვე წელში, მაშინვე გიმნა ზიაში მისცა, თუმცა ძლიერ კი გაუჭირ და ეს საცოდავს. პირველათ ყველა სა სწავლებლებიდან უარით გამოისტუმრ მაგრამ ერთ დღეს გაბედულათ შეიჭრ

ახალი ამბავი.

22 თებერვალს, რომანოვების გვარეულობის 300 წლის მეფობის საიუბილეო დღესასწაულის გამო ქალაქის საზოგადო საკრებულოში გაიმართება ხელის მოწერით მოქალაქეთა საზოგადო სადილი. ვისაც ამ სადილში მონაწილეობის მიღება სურს 7 მანეთი უნდა გადიხადოს. სადილი ნაშუადღევის 4 საათზე დაიწყება.

✦ ქალაქის გამგეობამ მიანდო ტეხნიკოსს ვ. კერვალიშვილს მომავალ დღესასწაულზე ქალაქის დაწესებულებების სადღესასწაულოთ მართვა და გაჩირაღდნება.

✦ ქუთაისის გუბერნატორს გადუცია საქალაქო საქმეთა საკრებულოსათვის ქალაქის საბჭოს დადგენილება მეორე გამგეობის წევრის ჯამაგირის მომატების შესახებ. ეს საკითხი განხილულ იქნება საკრებულოს მიერ ქალაქის სავარაუდო შემოსავალ გასავლის განხილვის დროს.

✦ მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა საბჭოს პეტერბურგში გადაუწყვეტია თებერვლის 21—გამართოს საზეიმო მეჯლისი (სადილი) რომანოვთა გვარის 300 წლის მეფობის სადღესასწაულოთ; ამ მეჯლისზე საბჭოს სურს რაც შეიძლება მეტმა წარმომადგენელმა მოიყაროს თავი. გადასახადია მეჯლისის მონაწილეობის მიღებისათვის კაცზე 35 მანეთი.

✦ თავ. ისონ გელოვანი, როგორც ისმის, ინიშნება ლეჩხუმის მომრიგებელ შუამავლათ.

✦ პარიზში მფრინავ ქებურიას შეუკეთებია თავის მანქანა და ამ მოკლე ხანში თფილისში გაფრინდებაო.

✦ ხვალ პარასკევს ქალთა წრის ჩვეულებრივი კრებაა შავიქვის საბჭოს ბინაზე. ექიმი ვასილ წერეთელი ისაუბრებს მეათე საუკუნის ქართულ მწერლობაზე.

✦ ადესის ქართულ სათვისტომოს ამ წინაზე გამართული საღამოს შემოსავლიდან ორმოცი ფრანკი გაუგზავნია ჟენეველი სტუდენტის მიხეილ იშხნელისათვის, რისთვისაც ხსენებული იშხნელი მადლობას სწირავს სათვისტომოს.

✦ გორიდან ჩვენი გაზეთის ექსპედიციის გამგეს შემდეგი ბარათი მოუვიდა, რომელიც უცვლელათ მოგვყავს: ,,ბატონებო! მაკვირვებს თქვენი საქციელი! რომელი წყაროდან გაიგეთ, რომ მე ,,პროფესიონალური ავენ ვარ? იმით იხელმძღვანელეთ, რომ მე აქ გორ ში ,,მერცხალს“ ვარცელებ, [illegible] თქვენი 20 № ინახება ჩემთან. შეგვატყობინოთ, რა უყოთ ამ ნუმრებს. ქერეჭაშვილი.

✦ კიევში ქართველ მოსწავლე ქალთა წრე შემდგარა. წრეს მიზნათ ქართული ლიტერატურის შესწავლა დაუსახავს.

✦ სატახტო გაზეთების სიტყვით თე ბერვლის ამნისტია უმნიშვნელო იქნება მანიფესტი პოლიტიკურ დამნაშავეთ ნა ლებათ შეეხებაო.

✦ დაბა ლანჩხუთში ბოქაულად ნა ყოფის იაშა მიქიაშვილის საქმის გამოძი ება დასრულდა. მას, როგორც ვაცი უჩიოდა პატიმარი მიხეილ კოლუაშვილ გუბერნატორთან გამოუცხადელი პატიმრ ბის მოტყვილებას. 10 ამ თვეს გუბერნა ტორისაგან სიტყვიერ წინადადებით მიქ აშვილს აეკრძალა თხოვნების წერა დ გამოუცდელ პატიმრებისაგან ფულებ გამოტყუება.

✦ 29 მარტს თფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს სამსონ ქვაცბაიას სა მეს, რომელსაც ქუთაისის ოლქის სას მართლომ უვადო კატორღა გადაუწყვ ტა კაცის მოკვლისთვის. მას იცავს ნ ფიცი ვექილი ყორგანოვი.

✦ თფილისის საპყრობილედან ქუთა ისის ციხეში 10 ამ თვეს ჩამოიყვანეს პატიმარი მათ ბრალდებათ ქურდობა.

✦ 22 დეკემბერს 1909 წელს ქუთა ისის ციხეში მოიყვანეს ევპატორიის ცი ხიდან ეტაპით გერმანიის ქვეშევრდომ იოჰან შმეტაუ, რომელსაც ბრალათ ედ ბოდა ყალბი ფულის გასაღება. 16—2 იანვარს 1912 წელს ქუთაისის ოლქ სასამართლომ მიუსაჯა ოთხი წლის კ ტორგა,

ქუთაისის ციხეში ჯდომის დროს შ გამოიგონა შესანიშნავი მანქანა, რომელ საც შეუძლია მოახდინოს მრეწველობაში ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილება. ად ვილათ შეიძლება ხმარება: რკინის გზებ ში, ფაბრიკაში და ქარხნებში. არ საჭი როებს ნახშირს, ნავთს, მაზუთს, შეშ და არავითარ სხვა დამხმარე ნივთიერებას ცვი მეტოდით ქმნის აუარებელ ძალას.

ამ შესანიშნავი მანქანის სხემატიურ სურათი მზათ არის.

დღეს, ქალაქის თეატრში წარმოდ-
ი იქნება ცნობილი დე-კუროლის
დრამა „ორი ჯიბგირი", თარგ. ვ.
ის მიერ. ეს ერთი საუკეთესო პი-
ნია ძველი რეპერტუარისა. ეს წარ-
ნა თეატრის კასირი ქალის საბენე-
იმართება. ქ-ნი ერისთვისა შვიდი
ადია ემსახურება ჩვენს თეატრს და
ღრ. საზ. პირველათ მისცა შენე-
იმეღია, ჩვენი საზოგადოება დაეს-
რადგან ამ მოსამსახურე პირსაც
შრომა მიუძღვის საერთოდ თეატ-
საქმეში.

ფიქრის მორევში.

ე და მწვავე ფიქრები მეწვევა
ხშირათ და ვამბობ:—ღმერთი არ
ეს, მართლა არა გვეცხოს რა
რაშიც ბრალსა გვდებენ. .
ი სევდით მევსება...
ე საუკუნეში ჩემიანი, ჩემი მი-
ილი, ჩემი ღვიძლი დამცინის და
ისაყვედურებს, რო მიყვარს ჩემი
მიყვარს ჩემი მიწა, ჩემი ქვეყანა! .
სიყვარულით, ამ დიდი გრძნო-
ნ სხვის მძულვარებას ამოწმებსო.
ნილი!?
კაცს თავი არ გიყვარს, სპეტა-
ნობაც სიყვარულისა არ გესმის..
ა იყოს აქ სადავო!
მამულიშვილი ბრჭყალებში გა-
ელეს და საკიცხავ, საგინებელ
გადააქციეს...
ენა ულამაზესი გრძნობა, გათახ-
აზრი, გაბინძურდა კალამი...
გამომდგარა ვილაც მ—ნი (ბო-
ბილი—ეს ან მ-უ-ნია-ნი, ან მ-აიმუ-
ა იყოს ვინმე), ერთი იმათთაგა-
ნაც ჩვენში თესლი მახინჯი მო-
და რაც კი ჩვენთვის წმიდათა-
შეადგენდა და შეადგენს—ყველა-
აიხინჯეს.
ვე ვითომ „რკინის კანონით"
მაგრამ ვერ მოიხმარეს და
ში იგი „ბამბის კანონათ" გა-

თავითვე ხალხის ნორჩი გული,
ლი ბრჭყვიალა, ლამაზი სიტყვე-
ონადირეს, მაგრამ ამ „რკინის
ს" თვით არა გაეგებოდათ რა,
ეფერეს, ვერ შეუგუეს იგი ჩვენი
გარემოებას, ჩვენი ხალხის ბუ-
მოტყუვდა ქვეყანა, მოტყუვდა
დღითი დღე ცვლილება ცვლილებაზე მიაყოლეს, სიტკიცე გამოეცალა მათ კანონს და უკანონობას მიუძღვებიან წინ, უკანონობას ადასტურებენ ყველაფერში—სიტყვაში, პასუხში, წერაში, საქმეში...

და ახლა ამ ,,ბამბის კანონით'' კანონობენ, დათარეშობენ, ინტიბარს არ იტეხენ...

მაგრამ... ალილუია!

Пѣсня спѣта!

თანდათან გრძნობენ ამას და სულმობრძავნი უკანასკნელ ძალღონეს იშველიებენ...

,,მოჯირითენიო''!

ვინ ჯირითობდა და კიდევ განაგრძობს ამ ჯირითობას!?

მაგრამ ჯირითიც დაებლაგვათ, ჩაუქი დაუძაბუნდათ, ტაიჭიც დაუკოჭლდათ!..

Пѣсня спѣта! დ.

დეპეშა.

პეტერბურგის დეპ. სააგენტოსაგან.

ომი ბალკანეთზე.

ბუქარესტი. სტამბოლიდან იუწყებიან: უკანასკნელი ცეცხლის შემდეგ უნდოდათ შემოწირულება გაემართათ დამწვართა სასარგებლოთ, მაგრამ უცხოელმა დაწესებულებებმა უარი გააცხადეს,—შემოწირულებას ოსმალებს ვერ გადავსცემთო, რადგან არ ვიცით ვის სასარგებლოთ გადაიდვა ის 800,000 გირვანქა, რომელიც 1911 წ. შევკრიბეთ დამწვართა სასარგებლოთო. მაშინ კომიტეტის სათავეში ჰილატის თავჯდომარე ახმედ-რიზა იყო და ვფიქრობთ, ის ფული ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა თავის სასარგებლოთ გამოიყენაო.

ლონდონი. როგორც ,,რეიტერი'' იტყობინება, მოკავშირეთა მოთხოვნილება დამოკიდებული იქნება იმ დროზე, თუ როდის მოითხოვს ოსმალეთი ზავის ჩამოგდებას. სამშვიდობო მოლაპარაკების გაზვიადების თავიდან ასაცდენათ, ზავის პირობებს ხელს ბრძოლის ველზე მოაწერენ და მოკავშირეები კონტრიბუციის საკითხსაც იქვე გადაწყვეტენო. წინასწარი ხელშეკრულობის უსაჭიროეს პირობათ იქნება დადებული, რომ ორივე მხარემ თავის ჯარის უმთავრეს ნაწილის დემობილიზაცია მოახდინოს.

სოფია. საფრანგეთის მიტროპოლიტებმა ჩატალჯაში და ჩორლიუში დეპეშით აცნობეს საკოვს—ოსმალთა სისასტიკის გამო 700 კაცამდი ჩატალჯიდან და მის მახლობელ სოფლებიდან იძულებული იყვენ ჩარლუსთვის შეეფარებია თავი, სადაც არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ მოეპოებათ. საკოვმა ბულგარეთის სამხედრო ძალებს მისწერა ოსმალეთის ბარბაროსობის სხვერპლთათვის იზრუნეთო.

ბუქარესტი. სტამბოლიდან იუწყებიან საკმაო რიცხვი აფიცრებისა, რომელნიც ,,ერთობა და პროგრესი''-ს კომიტეტს მტრულათ უყურებდა, გადააყენეს პოლიტიკით გატაცებისათვის. ხმების წინააღმდეგ, თითქოს ადრიანოპოლში ყველაფერი კარგს მდგომარეობაში იყოსო, აქ იუწყებიან:—შუქრი-ფაშა სწუხს—სურსათი გამოელია, ჯარისკაცები მბძანებას არ ემორჩილებიან და ქალაქში საჭმელის საძებრათ დაძრწიანო.

საზღვარგარეთი.

ვენა. ავსტრია უნგრეთის საზღვაო ძალების უფროსი სამსახურიდან გავიდა. ჯვრითა და სტეფანეს ორდენით დააჯილდოეს. მის ადგილზე ვიცე ადმირალი ჰაუსი დანიშნეს.

ელპაზო. (ამერიკა) მოკავშირე ჯარში პრეზიდენტ მადეროს სიკვდილის წინააღმდეგ პროტესტის გაცხადებისთვის 90 მოთარეშე ჯარისკაცი დახვრიტეს.

ლონდონი. თეატრში სუფრაჟისტ-ქალების მიტინგზე თავმჯდომარეთ პანგორსტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ როცა გაიგეს პანგორსტი დაატუსაღესო, ხმაურობა ასტყდა. ბრბო ორატორებს სიტყვის წარმოსთქმას უშლიდა. დღისით ფოშტის ბევრ ყუთზე იერიში მიიტანეს და გაანადგურეს და მრავალი მავთული დაწყვიტეს.

კანტონი 7 თებერვალს მოხდა ჩინეთის საგანგებო სასამართლოს პირველი სხდომა, რომელმაც უნდა გაარჩიოს ჩინეთის ქვეშევრდომთა საქმე, რომელთაც 1912 წელს 8 ივნისს ჩირაში რუსეთის ქვეშევრდომთა ამოხოცვა ბრალდებათ. სხდომას დაესწრო რუსეთის გენერალური ელჩი, რათა თვალი ადევნოს ჩინეთის სასამართლოს მიუდგომლობას და საქმის კანონიერ წარმოებას.

პარიზი. პუანკარემ ელჩი იზვოლსკი და გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი შილინგი მიიღო, ელჩმა ანდრია პირველ წოდებულის ორდენი გადასცა და უთხრა: მეფემ ამ ორდენის ბოძება მიბძანა და საკუთარი წერილი გამოგიგზავნაო. მას სურს, რომ განმტკიცდეს საფრანგეთის რუსეთისადმი მეგობრული დაკავშირება. პუანკარემ მადლობა გამოუცხადა მათ თანაგრძნობისათვის.

